

# ხელოვნება

# 5

მოსწავლის  
ნიგნი



გრიფმინიჭებულია საქართველოს  
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და  
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

ნანა იოსელიანი ◆ სოფიო ქებურია

# სარჩევი



## I შესავალი

პალიტრა ..... 4

## II პორტრეტი

პორტრეტის აღწერა ..... 8

ფიროსმანი ..... 10

„აკტრისა და მეზოვე“ ..... 12

ანფასი და პროფილი ..... 14

რელიეფური პორტრეტი ..... 16

## III მხატვრობა

ესკიზი და ჩანახატი ..... 18

პლატონის სხეულები ..... 20

პომპეის მოზაიკა ..... 22

კაკაბაძის ნავები ..... 24

თითებით ხატვა ..... 26

მარკ შაგალის სამყარო ..... 28

მონოტიპია ..... 30

სიცოცხლის ხე ..... 32

ბრეიგელის ანდაზები ..... 34

ანიმაცია – გაცოცხლებული ნახატები ..... 36

პირველი არქეოლოგი ..... 38

## IV ქადაკება

გფარავდეთ შედუ! ..... 42

ოპელისკი ..... 44

მზის საათი ..... 46

მობილი და სტაბილი ..... 48

მავთულის ქანდაკება ..... 50

ჯაკომეტის აჩრდილები ..... 52

## V არაითეპტურა

მალევიჩის არქიტექტონები ..... 54

ქალაქის დაგეგმარება ..... 56

ქალაქური პეიზაჟი ..... 58

ნაჭრის ქალაქი ..... 60

კორპუსი და ძველი სახლი ..... 61

## VI დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება

რას გვიამბობს თიხა ..... 62

შუამდინარეთი ..... 66

ხამურაბის კანონები ..... 68

შუმერული ომი და მშვიდობა ..... 70

შუმერობანა ..... 72

მინანქარი ..... 74

## VII პროექტები

### პროექტი 1. მუზეუმი

მუზები ..... 76

მუსეიონიდან მუზეუმამდე ..... 78

მუზეუმში ქცევის წესები ..... 80

საგანძურის მცველი ..... 82

### პროექტი 2. სპექტაკლი

ჩრდილების თეატრი ..... 84

პლაკატი ..... 86

### პროექტი 3. ფესტივალი

გოძამას! ..... 88

ნამასტე! ..... 92

გამარჯობა! ..... 94

ფარდაგი ..... 96

ფოტოხელოვნება ..... 98

კალიმერა! ..... 100

სამყაროს ენა ..... 102



ფუნჯი და პალიტრა ფერმწერის სამუშაო იარაღებია. მხატვრის პალიტრა ბევრ რამეს გვიამბობს მხატვარზე – მის გემოვნებაზე, განწყობილებაზე, ხასიათსა და ჩვევებზე, მის პრინციპებსა და ფერწერისადმი დამოკიდებულებაზე.


პალიტრებს შეისწავლიან ექსპერტები, პალიტრები ინახება მუზეუმებში, კოლექციონერები მათ აგროვებენ, ყიდულობენ და ყიდიან, ზოგჯერ ძალიან ძვირად. ასეთ ყურადღებას კი დამსახურება უნდა.

ზოგიერთი მხატვრის პალიტრა თავად გახდა ხელოვნების ნიმუში – ფრანგმა მხატვარმა კამილ პისარომ, პარიზის ერთ-ერთი რესტორნის მეპატ-რონის შეკვეთით, თავის პალიტრაზე სურათი დახატა. მხატვარმა პალიტრის ზედა მხარეს დასხმული თეთრი, ყვითელი, ნითელი და მწვანე საღებავები ხელუხლებლად დატოვა და სურათის კომპოზიციის ნაწილად აქცია.



კამილ პისაროს სამუშაო პალიტრა

მხატვრები, ისევე, როგორც მუსიკოსები, ან კარგი ხელოსნები, თვალის-ჩინივით უვლიან და უფრთხილდებიან თავიანთ ინსტრუმენტებს და ძალიან არ უყვართ, როცა უცხო ხელი ეხება მათ.



ჰორჯო მორანდის ნატურმორტი და პალიტრა

ერთხელ იტალიელ მხატვარ ჰორჯო მორანდის მეგობარმა სამახსოვროდ ფუნჯის ჩუქება სთხოვა. „ფუნჯები ჩემი ერთგული მეომრები არიან. გაცვეთილი ფუნჯები, როგორც ბრძოლაში დაღუპული მებრძოლები, მინას უნდა მიებარონ“, – თქვა მორანდიმ და მეგობარს ფუნჯი არ მისცა.



### ეჟენ დელაკრუას პალიტრები

ეჟენ დელაკრუა წერდა, რომ პალიტრისა და ფუნჯის დანახვაზე მხატვარი ისეთივე აღტაცებას განიცდის, როგორც მეომარი თავის საჭურვლის დანახვისას. ფუნჯი და პალიტრა მხატვრის ხელში რაინდის ფარ-ხმალს ჰგავს. ეს მისი საბრძოლო იარაღია. პალიტრითა და ფუნჯით შეიარაღებული მხატვარი, როგორც მოფარიკავე, წელში გამართული, ამაყად თავაწეული და წინ გაშვერილი ფუნჯით, ხან უახლოვდება ტილოს, ხან კი შორიდან აფასებს მას. მხატვარი ისევე უვლის და აპრიალებს თავის პალიტრას, როგორც მეომარი საბრძოლო იარაღს. მერე რა, რომ ხვალ პალიტრა ისევ დაისვრება – ნამდვილი ფერმწერი იარაღს დასვრილს არ ტოვებს!



რემბრანდტის ავტოპორტრეტი და საღებავების მოსამზადებელი მაგიდა

ჰოლანდიელი მხატვარი რემბრანდტი საღებავებს თავად იმზადებდა. საღებავი ძვირი ღირდა. ამიტომ მხატვარი პალიტრაზე ზუსტად იმდენ საღებავს იდებდა, რამდენიც დღის განმავლობაში დასჭირდებოდა. როგორც წესი, პალიტრაზე 3-4 ფერი ედო.

ფერებს იმის მიხედვით არჩევდა, რაც უნდა დაეხატა – თუ ცხენის დახატვას აპირებდა, პალიტრაზე მხოლოდ თეთრ, შავ და ყვითელ ფერებს ასხამდა.



# ცნობილი მხატვრების პალუტრები



ედგარ დეგა



ვინსენტ ვან გოგი



კლოდ მონე

კლოდ მონე



ჟოან მირო


კლოდ მონე



რატომ არის ადვილი მხატვრის პალიტრით მისივე სურათის ფერთა გამის გამოცნობა?

დააკვირდი მხატვრების პალიტრებსა და მათსავე ფერწერულ სურათებს.

შეადარე ერთმანეთს და აღწერე მხატვრების პალიტრები.



პაბლო პიკასო




ოგიუსტ რენუარი




ვასილი კანდინსკი



ანრი მატისი



ამედეო მოდილიანი



მარკ შაგალი



## საშინაო დავალება

ამოარჩიე ერთი მხატვრის სურათი და დაამზადე მისი პალიტრა:

დახატე და გამოჭერი მუყაოს პალიტრა.

დააკვირდი სურათს და გუაშის საღებავებით პლასტმასის პალიტრაზე ან თეფშიე დაამზადე ნამუშევარში გამოყენებული ფერების შესატყვისი ტონალობები. შეზავებული ფერებით დაფერე გამოჭრილი პალიტრა.



# პორტრეტის აღნიშვნა

ილია რეპინი, მე-19-მე-20 საუკუნის რუსი მხატვარი, პორტრეტებს, ისტორიულ და ჟანრულ ფერწერულ სურათებს ხატავდა.

სიცოცხლეშივე გენიოსად აღიარებული ილია რეპინი საკუთარ ნიჭს არ ცნობდა, სხვისი ნიჭით აღფრთოვანებული, ხმამაღლა გამოხატავდა აღტაცებას, თავის თავს კი, მოკრძალებულად, საშუალო მონაცემების მხატვრად მიიჩნევდა. რეპინის მეგობარს, ზლვის პეიზაჟების ოსტატ ივანე აივაზოვსკის პორტრეტების ხატვა უჭირდა. ერთხელ სთხოვა რეპინს, ერთად დაეხსატათ სურათი „პუშკინის გამოთხოვებაზღვასთან“, რომელსაც დიდი პოეტის გარდაცვალების 50 წლისთავს უძღვნიდა. აივაზოვსკიმ დახატა ზლვა, რეპინმა კი – ალექსანდრე პუშკინი. ამ საერთო ნამუშევარზე რეპინი ამბობდა: „საოცარი ზლვა დახატა აივაზოვსკიმ. მე კი პატივი მერგო, ფიგურა მიმეტყაპნაო“.



ილია რეპინი პალიტრით

მხატვარს ბევრი მუშაობისგან მარჯვენა ხელი სტკიოდა და ფუნჯის დაჭერა უჭირდა. რეპინი ძალიან განიცდიდა ამ ამბავს. მოგვიანებით მან მარცხენა ხელით ისწავლა ხატვა. შემდეგ კი გამოიგონა პალიტრა, რომელსაც ქამრით წელზე იმაგრებდა და ხატვისას ხელები თავისუფალი ჰქონდა.



დააკვირდი და დაახასიათე პორტრეტებზე გამოსახული ადამიანები. რა დეტალები მიგვანიშნებს მათ პროფესიაზე?

## საშინაო დავალება

დახატე შენთვის პატივსაცემი ადამიანის პორტრეტი წარმოსახვით, როგორიც თავად წარმოგიდგენია.



## ილია რეპინის პორტრეტები



ილია რეპინი, მხატვარი



დიმიტრი მენდელევი, მეცნიერი




ანტონ რუბინშტეინი, მუსიკოსი



ლევ ტოლსტოი, მწერალი



მიხაილ გლინკა, კომპოზიტორი



პავლე ტრეტიაკოვი, კოლექციონერი



# ფიროსმანი

ნიკო ფიროსმანაშვილი პატარობიდან ხატავდა – ხატავდა ყველაფერზე, კედლებზეც კი. ამის გამო უჯავრდებოდნენ, მაგრამ მაინც არ იშლიდა თავისას. განათლება არ მიუღია, თუმცა ქალანთაროვების ოჯახში, სადაც იზრდებოდა, მას წერა-კითხვაც ასწავლეს და წიგნების კითხვაც შეაყვარეს.




რკინიგზელის პორტრეტი



ბათუმი

სანამ მხატვარი გახდებოდა, რამდენიმე ადგილას სცადა მუშაობა, მაგრამ დიდხანს ვერსად გაძლო. ბოლოს რკინიგზის სადგურში მიიღეს სამუშაოდ, სადაც 10 წელი იმსახურა ხან დარაჯად, ხან მემუხრუჭედ, ხან კონდუქტორად. ბოლოს, ავადმყოფობის გამო, სამსახურს თავი დაანება, თბილისში პატარა ოთახი იქირავა და ისევ ხატვა და სამუშაოს ძებნა დაიწყო.





ფიროსმანის სამუშაო აბრების დახატვა და დუქნების მოხატვა იყო. მისი შემკვეთებიც მედუქნები, ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ. მათ არ ესმოდათ ფიროსმანის მხატვრობის სიდიდე, თუმცა ნიკალას ნახატები მოწოდათ. ნახატები ხალხს იზიდავდა და მედუქნებიც სიამოვნებით უკვეთდნენ სურათებს. ფიროსმანს გასამრჯელოდ საჭმელი და ღვინოც აკმაყოფილებდა, სახატავი მასალა კი შემკვეთს უნდა ეყიდა.



ფიროსმანი წინასწარ ესკიზებს არ აკეთებდა. სახატავი მასალის მიმართ ძალიან მომთხოვნი იყო – საღებავები და ფუნჯები ხარისხიანი უნდა ყოფილიყო. თითქმის ყველანაირ მასალაზე ხატავდა, მაგრამ ძირითადად, ტილოს ნაცვლად შავ მუშამბას იყენებდა. მუშამბა მხატვარს შესაძლებლობას აძლევდა, სწრაფად ემუშავა. შავ მუშამბაზე, იქ, საღაც მუქი შტრიხი ან ხაზი სჭირდებოდა, მუშამბის ფერს ფუნჯმიუკარებლად ტოვებდა, ან ოდნავ შესამჩნევად შეფერავდა ხოლმე. გრაფიკულ კონტურს არ ხმარობდა, პირდაპირ ფერთა ლაქებით გამოჰყავდა ფორმა.



რა აკაგშირებს ფიროსმანის ამ ორ სურათს?

გადმოცემით, ნიკო ფიროსმანს საქართველოში ჩამოსული ფრანგი მსახიობი (როგორც ძველად ეძახდნენ, „აკტრისა“) მარგარიტა შეჰყვარებია. როგორც ჩანს, მსახიობიც მოხიბლა მაღალმა, გამხდარმა, სხვებისგან გამორჩეულმა მხატვარმა. ფიროსმანმა მარგარიტა დახატა და მსახიობს მისი პორტრეტი საჩუქრად მიართვა. ერთხელ მარგარიტას სანახავად მისულ ფიროსმანს აკტრისას გამოსამშვიდობებელი წერილი გადასცეს. მარგარიტამ, წერილთან ერთად, ფიროსმანს ნაჩუქარი პორტრეტიც დაუბრუნა.